საინვესტიციო საქმიანობის ბიზნესპროცესები

მედეა თევდორაძე, სამსონ დარჩია, ნინო წულუკიძე, ნინო ლოლაშვილი,
თამაზ ალიბეგაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია ფინანსური დირექტორის საქმიანობა ინვესტიციების სფეროში. აღნიშნული პროცესი შერჩეულია იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ფინანსური დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის საქმიანობის ფულით უზრუნველყოფაზე და ინვესტიციები წარმოადგენს ფულადი ნაკადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. ნაშრომში შემოთავაზებულია საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი ბიზნესპროცესი, წინასაინვესტიციო და საინვესტიციო ბიუჯეტირების ქვეპროცესები.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური დირექტორი. საქმიანობა. ინვესტიცია. ბიზნეს-პროცესი.

1. შესავალი

ორგანიზაციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ფინანსური საქმიანობა. იგი სამსახურის მთავარ მიზანს წარმოადგენს – ფინანსების ფუნქციის მაქსიმალური რეალიზაცია, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, მისი რენტაბე-ლურობის, მოგების, შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, დანახარჯების შემცირება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება მოწინავე ტექნოლოგიების და მეცნიერების მიღწევების დანერგვის გზით. მრავალწილად ორგანიზაციის ეფექტიანობა დამოკიდებულია ფინანსური განყოფილების ეფექტიან მუშაობაზე. ფინანსური სამსახურის მუშაობას მართავს ფინანსური დირექტორი, ის პასუხისმგებელია მრავალ საკითხზე და ძალიან მნიშვნელოვანია მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, ვინაიდან ორგანიზაციის ფინანსური ფუნქციის ეფექტიანობა თავის მხრივ მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ფინანსური დირექტორის საქმიანობაზე. აღნიშნულ ამოცანას ემსახურება ფინანსური დირექტორის საქმიანობის ბიზნესპროცესების შემუშავება და მხარდაჭერა ინფორმა-ციული ტექნოლოგიებით.

2. ძირითადი ნაწილი

კომპანიის ფინანსების მართვაში ძირითადი როლი ეთმობა დირექტორის მოადგილეს ფინანსების დარგში - ფინანსურ დირექტორს. ეს კვანძოვანი ფიგურაა, რომელიც პასუხისმგებელია ფინანსური მართვის სტრატეგიაზე და ტაქტიკაზე, მათ რეალიზაციაზე საწარმოს წინაშე მდგარი მიზნების მისაღწევად. ფინანსური დირექტორის თანამდებობრივ ვალდებულებებს მიაკუთვნებენ ისეთი ამოცანების გადაჭრას, რომლებიც განსაზღვრავენ საწარმოს ფინანსურ პოლიტიკას და საწარმოს ეკონომიკური მიზნების რეალიზებას. შემდეგ ჩამოთვლილია ზოგიერთი მათგანი: სამსახურის მართვის სქემის შერჩევა, მისი სრულყოფის ხერხების მოძიება, ეკონომიკური სამსახურის ეფექტიანი მუშაობის ორგანიზება, კადრების შერჩევა და დასაქმება, სამსახურის სტრუქტურული

ქვეგანაყოფების მართვა, დაინტერესებული პირებისათვის საწარმოს საქმიანობის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიწოდება, მუშაობა საბანკო სისტემასთან და პარტნიორებთან ბიზნესის მიხედვით, მესაკუთრეებთან ურთიერთობების ფორმირება და განვითარება. ფინანსური დირექტრის საქმიანობის ძირითადი ფუნქციებია [1]:

- ბიზნესის ფულის საჭიროების უზრუნველყოფა;
- საწარმოს საქმიანობის დაგეგმვა და კოორდინაცია;
- ორგანიზაციის ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
- ყველა დაინტერესებული პირის მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა;
- საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ფინანსური სამსახური და მისი დირექტორი თავისი ამოცანების შესასრულებლად ფართოდ იყენებენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს [2]. ესაა ფართო სპექტრის პროგრამები: ზოგადი დანიშნულების პროგრამები (მაგალითად, MS Excel), სპეციალიზირებული პროგრამები (მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის, ბიუჯეტირების და ა.შ.), ინტეგრირებული და ERP-ტიპის პროგრამები.

ამასთან ერთად, როგორც ცნობილია, თანამედროვე წარმოება მოითხოვს მართვაში პროცესებზე ორიენტაციას. აღნიშნული ასევე ვრცელდება საფინანსო განყოფილების, და რა თქმა უნდა, ფინანსური დირექტორის საქმიანობაზე.

შეიძლება ითქვას, რომ საფინანსო ბიზნესპროცესები არის დამხმარე ან მომსახურე. დამხმარე ბიზნესპროცესების ამოცანა მდგომარეობს ძირითადი საწარმოო ბიზნეს-პროცესის დახმარებაში [3]. ისინი უნდა უზრუნველყოფდეს მოგების მაქსიმუმს, რაციონალურად იყენებდნენ საბრუნავ და ძირითად საშუალებებს, გაამარტივონ ფულის მოპოვების პროცესი. ნებისმიერი ორგანიზაცია თვითონ გეგმავს და აგებს საფინანსო საქმიანობის ბიზნეს-პროცესებს, მაგრამ ერთერთი მნიშვნელოვანი მათ რიგში აუცილებლად იქნება ფულადი ნაკადების მართვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფული – „სისხლია ბიზნესის ძარღვებში“, ხოლო ფულადი ნაკადების უზრუნველყოფაზე სრულად პასუხისმგებელია საფინანსო დირექტორი. ამასთან ერთად ცხადია, რომ ფულადი ნაკადების უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება წარმოებდეს მუშაობა კრედიტებთან და ინვესტიციებთან. ეს კი განსაკუთრებული ინტერესის სფეროა, რადგან აქ ადგილი აქვს ღრმა ანალიტიკურ სამუშაოს, რომელიც ხორციელდება საინვესტიციო საქმიანობის სხვადასხვა ფაზებში.

სანამ გადავალთ საინვესტიციო ბიზნესპროცესების შემუშავებაზე, მოკლედ დავახასიათოთ, თუ რას წარმოადგენს ინვესტირება. ცნება ინვესტიცია იღებს თავის დასაწყისს ლათინური სიტყვისაგან invest, რომელიც ნიშნავს „ჩადებას“ [4]. ანუ ინვესტიციები წარმოადგენს გარკვეული სახსრების ჩადებას გარკვეული სახის ქონების ფორმირებაში შემდგომში სუფთა შემოსავლის (მოგების) ან სხვა შედეგების მისაღებად. რაც შეეხება საინვესტიციო პროცესს, იგი მოიცავს საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს. მისი

ღრმა შესწავლის შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ მისი სამი ძირითადი ფაზა: წინასაინვესტიციო, საინვესტიციო, საექსპლუატაციო.

წინასაინვესტიციო ფაზაში ხორციელდება ყველა მოსამზადებელი სამუშაო, აუცილებელი საინვესტიციო პროცესის შემდგომი წარმართვისათვის, კერძოდ, აქ მუშავდება საინვესტიციო პროექტი, ხორციელდება მისი ეფექტიანობის შეფასება, მუშავდება ინვესტიციის ბიუჯეტი.

საინვესტიციო ფაზა მოიცავს ფართო სპექტრის საკონსულტაციო და საპროექტო სამუშაოებს, უპირატესად პროექტების მართვის სფეროში. პროექტების მართვა ამ შემთხვევაში არის ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების დაგეგმვის, ორგანიზაციისა და კონტროლის პროცესები პროექტის საციცოცხლო ციკლის განმავლობაში. ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა ამ ეტაპზე არის ბიუჯეტის კონტროლი, რომლის შედგენა ხორციელდება წინასაინვესტიციო ფაზაზე.

საექსპლუატაციო ფაზა დაკავშირებულია იმ საშუალებების გამოყენებასთან, რომლებიც მიღებულ იქნა საინვესტიციო ფაზის შესრულების შედეგად. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს კონტროლი, რომელიც ხორციელდება მოცემულ ეტაპზე. რაც მთავარია, აქ იწყება იმ დანახარჯების დაფარვა, რომელიც გაწეული იყო ინვესტირების პერიოდში.

აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენ მიერ აგებულია საინვესტიციო საქმიანობის ბიზნეს პროცესი, რომელიც მოიცავს 3 ფაზას (ნახ.1).

ნახ.1. საინვესტიციო საქმიანობის ზოგადი ბიზნეს-პროცესი

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პირველი ფაზა, სადაც ხორციელდება ყველანაირი სამუშაო, რათა შემდგომში ინვესტიცია წარმატებულად განხორციელდეს და ის ეფექტი მოიტანოს, რაც მას ევალებოდა. ამ ტიპის სამუშაოებზე პასუხისმგებლობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახორციელებს ფინანსური დირექტორი.

დეტალურად დავახასიათოთ აღნიშნული ფაზა. წინასაინვესტიციო ფაზა მოიცავს ხუთ სტადიას და შემდეგ სამუშაოებს:

1) საინვესტიციო კონცეპციების ძებნა (ბიზნეს-იდეა);

2) პროექტის წინასწარი მომზადება;

3) პროექტის საბოლოო ფორმულირება, მისი ეკონომიკური და ფინანსური რელევანტურობის შეფასება (სტატიკური და დინამიკური მეთოდებით);

4) პროექტის საბოლოო განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

5) ორგანიზაციის საინვესტიციო ბიუჯეტის შედგენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ მიერ აგებულ იქნა პირველი ფაზის ქვე-ბიზნეს-პროცესი (ნახ.2) [5].

უნდა ვთქვათ, რომ საინვესტიციო ბიუჯეტი ფინანსური გეგმაა, რომელიც ასახავს სამომავლო ხარჯებს, გასაწევს საწარმოს განვითარების პროგრამის რეალიზაციაზე. საინვესტიციო ბიუჯეტი არის მჭიდრო კავშირში ფინანსური სისტემის მთელ რიგ ბიუჯეტთან. მისი საგეგმო მაჩვენებლები იკვეთება შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტებთან, შედის ფულადი სახსრების მოძრაობის ბიუჯეტის ცალკეულ განაყოფებში.



ნახ.2. წინასაინვესტიციო ფაზის ქვე-ბიზნესპროცესი

ბიუჯეტირება (ანუ ბიუჯეტის შედგენის პროცესი) იყოფა შემდეგ ეტაპებად [6]:

- მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება (მოსამზადებელი ეტაპი);
- საწარმოო და ორგანიზაციული დაგეგმვა;
- ბიუჯეტის ფორმირება და მისი წინასწარი ანალიზი;
- საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტის კორექტირება და მისი დამტკიცება;
- ბიუჯეტის შესრულების კონტროლი.

რაც შეეხება ბიუჯეტირების ბოლო ეტაპს, აქ მოდის საინვესტიციო ბიუჯეტის შესრულების კონტროლი, რომელიც საინვესტიციო ბიზნეს-პროცესის ფარგლებში საინვესტიციო ფაზას მიეკუთვნება. რა იგულისხმება საინვესტიციო ბიუჯეტის შესრულების კონტროლში? აქ განიხილავენ საქმიანობის სამ ძირითად ფორმას: დადებული ხელშეკრულებების კონტროლი; ფულადი ნაკადების კონტროლი; საორგანიზაციო და საწარმოო ღონისძიებების შესრულების კონტროლი. ზემოაღნიშნულის საფუძველზე ჩვენს მიერ აგებულია საინვესტიციო ბიუჯეტირების ქვე-ბიზნესპროცესი (ნახ.3).

ნახ.3. საინვესტიციო ბიუჯეტირების ქვე-ბიზნეს-პროცესი

3. დასკვნა

თანამედროვე ორგანიზაციის საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია საფინანსო საქმიანობის სწორი ავტომატიზაცია, რომელიც იძლევა გარკვეულ უპირატესობებს, როგორიცაა გაუმჯობესებული: აღრიცხვა, ანალიზი, რეპორტინგი, ანალიტიკა, ბიუჯეტირება და ინვესტირება. ასევე თანამედროვე ორგანიზაციის კონკურენტ-უნარიანობისა და მომგებიანობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია მართვის პროცესებზე ორიენტაცია.

იგივე ვითარებაა საფინანსო სამსახურის და ფინანსური დირექტორის საქმიანობაშიც. ფინანსური დირექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად შეიძლება ჩაითვალოს კომპანიაში ფულადი ნაკადების უზრუნველყოფა, რაშიც დიდ როლს თამაშობს ინვესტიციები. ინვესტიცირება საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც შეიძლება დაიყოს გარკვეულ ფაზებად. აქედან პირველი, მოსამზადებელი ფაზა ძალზე საპასუხისმგებლოა, ვინაიდან აქ ხდება საინვესტიციო პროექტის მომზადება, მისი ანალიზი, შეფასება და ბიუჯეტის შედგენა.

აღნიშნული მიმართულებით სწორი საქმიანობის წარმართვისათვის მნიშვნელოვანია ადეკვატური ბიზნესპროცესების აგება.

ლიტერატურა J References J Литература:

1. Стивен Брег. (2011). Настольная книга финансового директора. Место финансового директора в корпорации. -М., 13 -14 с

2. Петров М. (2002). Инструменты управления финансового директора. -М.,

3. Макаренко Д., Кравченко А. (2005). Финансовые бизнес-процессы. Управление финансовой деятельностью. Журн. „Финансовый директор" (№3, 2005). https://www.intalev.ua/

4. Смирнов П. (2019). **Этапы инвестиционного цикла.** https://econ.wikireading.ru/33453

5. თევდორაძე მ., ბაჯიაშვილი ა., ლოლაშვილი ნ., სალთხუციშვილი მ., რუხაძე თ. (2017). ბიზნეს–პროცესების მათვის ინფორმაციული სისტემები. ნაწ.1. ელექტრონული

სახელმძღვანელო (გამოცემა 2). სტუ, თბილისი

6. Наумова Н.В., Жарикова Л.А. (2009). Бюджетирование в деятельности предприятия. „Связь стратегического и бюджетного планирования“.N18. https://docplayer.ru/44827786-N-v-naumova-l-a-zharikova.html

BUSINESS-PROCESSES FOR INVESTMENT ACTIVITY

Tevdoradze M., Darchia S., Tsulukidze N., Lolashvili N.,
Alibegashvili T.

Georgian Technical University

Summary

In the present article it is characterized activity of financial director in the sphere of investment. This process is selected based on the circumstances, that the financial director is responsible for the company's money and investments are one of the important components of the mentioned cash flow. In the given article the high level business-process of investment' activity is offered, also there are given pre-investment and investment budgeting sub-processes.

БИЗНЕС-ПРОЦЕССЫ ИНВЕСТИЦИОННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ

Тевдорадзе М., Дарчиа С., Цулукидзе Н., Лолашвили Н.,
Алибегашвили Т.

Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматриваются вопросы деятельности финансового директора в сфере инвестиций. Указанный процесс выбран исходя из того обстоятельства, что финансовый директор в ответе за снабжение деятельности компании деньгами, а инвестиции представляют значительный компонент денежных потоков. В работе предложен высокого уровня бизнес-процесс инвестиционной деятельности, а также пре-инвестиционный и инвестиционного бюджетирования подпроцессы.